საქართველოს მთავრობის

დადგენილება

№235 2021 წლის 24 მაისი ქ. თბილისი

## „ტექნიკური რეგლამენტის – ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის №524 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის №524 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 08/11/2018, 300160070.10.003.020839) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ლ) ამ პუნქტით განსაზღვრული ღვინის გარდა, კახეთის მევენახეობის ზონაში მოწეული ყურძნისაგან ნაწარმოები სხვა ღვინისათვის არანაკლებ 10,5%-ს, დანარჩენი მევენახეობის ზონებში მოწეული ყურძნისაგან ნაწარმოები სხვა ღვინისათვის არანაკლებ 9,0%-ს;“.

**მუხლი 2.** ამ დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნა არ გავრცელდეს 2021 წლის 1 აგვისტომდე წარმოებულ ღვინოზე.

**მუხლი 3.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**